



11701/3-74/21 2 29112021

11701/3-74/21

29-11-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მოგვაწოდოთ სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით, 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით რამდენი მსჯავრდებულისთვის გაიცა საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვა და რამდენ შემთხვევაში ეთქვა უარი განმცხადებელს.

ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია წლების მიხედვით, 2016 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, მსჯავრდებულის საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის საფასურის სახით, რა ოდენობის თანხა ჩაირიცხა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე და რა დანიშნულებით განხორციელდა ხსენებული თანხის განკარგვა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
გივი მიქანაძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010126712348521

№16156

10 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ გივი მიქანაძეს


ბატონო გივი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი მომართვის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/32563; თარიღი: 29.11.2021) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია ინფორმაცია მსჯავრდებულის საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით გაცემული ნებართვების თაობაზე, დანართის სახით გიგზავნით სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

რატი ბრეგაძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და
პრობაციის ეროვნული სააგენტო

MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
LEPL – NATIONAL AGENCY FOR CRIME PREVENTION, EXECUTION OF NON-
CUSTODIAL SENTENCES AND PROBATION



KA010143219678021

0177 ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42, საქართველო, ტელ. /Tel.: (995 32) 2 222 800

№ 2/107136

07 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციის უფროსს
ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

თქვენი 2021 წლის 30 ნოემბრის №15543 წერილის პასუხად, საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონი გივი მიქანაძის, მომართვასთან დაკავშირებით, გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას:

წელი	თანხმობა	უარი ან თანხა არ/ ვერ გადაიხადა	არასაბიუჯეტო შემოსავლები
2016 წელი	2178	1381	2182101 ლარი
2017 წელი	2692	1897	2406509 ლარი
2018 წელი	2495	1628	2095804 ლარი
2019 წელი	1173	1617	1221702 ლარი
2020 წელი	438	239	708106 ლარი

დამატებით გაცნობებთ, რომ სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც შეეხება საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის თაობაზე განცხადებაზე უარს, ასევე მოიცავს შემთხვევებს, როდესაც განცხადება დაკმაყოფილდა, თუმცა მსჯავრდებულმა საფასური არ/ვერ გადაიხადა.

რაც შეეხება გაცემული ნებართვის შედეგად მიღებულ შემოსავალს, აღნიშნული წლის განმავლობაში მიმართულია ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველსაყოფად და სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) გამართული ფუნქციონირებისათვის. ბიუჯეტით გათვალისწინებულ აუცილებელ საჭიროებებს წარმოადგენს: გადასახადები, ინვენტარი და სახელფასო ფონდი.

ხოლო მეორე მხრივ, გაცემული ნებართვების შედეგად მიღებული შემოსავლის გამოყენება ხორციელდება: მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნებისთვის, სარეაბილიტაციო პროგრამების ფარგლებში გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიებების/ აქტივობების განხორციელებისათვის, არასაპატიმრო სასჯელის - შინაპატიმრობის აღსრულების უზრუნველსაყოფად, ყოველწლიურად ელექტრონული სამაჯურების გამართული ფუნქციონირებისათვის ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერის შესყიდვისათვის, რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა სოციალიზაციის მიზნით საჭიროებებიდან გამომდინარე აქტივობებისთვის, თითის ანაბეჭდის - დაქტილოსკოპისა და ვიდეო პაემნების მოწყობილობების განახლებისა და შესყიდვისათვის.


ამასთანავე, მიმდინარე წელს განხორციელდება პრობაციონერთათვის - გამოცხადების რეჟიმის დასაფიქსირებლად ინოვაციური ელექტრონული აპარატის (ექვსი ერთეული ტერმინალი) პრობბოქსის შესყიდვა, რომლის რაოდენობაც 2022 წელს იგეგმება, რომ გაიზარდოს 150-მდე და განთავსდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროებსა (შემდგომ - პრობაციის ბიურო) და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობებში.

აღნიშნული შემოსავლებით მიმდინარე წელს თერჯოლასა და სიღნაღში გაიხსნა პრობაციის ბიუროს ოფისები, განხორციელდა იმერეთის პრობაციის ბიუროს - ქუთაისისა და ზესტაფონის ოფისების რეკონსტრუქცია, ხოლო მომდევნო წელს დაიწყება და ეტაპობრივად მოხდება ქვეყნის მასშტაბით პრობაციის ბიუროს ოფისების განახლება.

აქვე გაცნობებთ, სააგენტოში განხორციელებული რებრენდინგის ფარგლებში, მომდევნო წელს პრობაციის ოფიცრებისთვის მოხდება სამსახურეობრივი უნიფორმების დამტკიცება/შესყიდვა. უნიფორმის დამკვიდრება, ზოგადი პრაქტიკის გათვალისწინებით კი გულისხმობს თანამშრომლებისთვის ეტაპობრივ შესყიდვას, რომლის უზრუნველსაყოფად აღნიშნული შემოსავლები იქნება ასევე გადანაწილებული.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ვრანგელი ცეცხლაძე